საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/124 „11" აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

მ. ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 4 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 5 აგვისტოს მიღებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძის განცხადება.

მიხეილ ჩინჩალაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება, მათ შორის 10 წელი იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც, კერძოდ იგი იყო საქართველოს უზენასი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო 2017 წლიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მიხეილ ჩინჩალაძე დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ 2020 წლის 12 აგვისტოდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი